№ 421. პარასკევი 9 იანვარი. 1896—1898 პარასკევი 9 იანვარი. № 421.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გაზეთი

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ყოველის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე, ანდამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ეზეიდვს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, [illegible]
[illegible]
ფასი განცხადებისა
ყოველ-ბრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 [illegible]
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
კვირას, 11 იანვარს
საზოგადოების სურვილით
I
საქმეაღიანი
სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა. ბეტრე უმიკაშვილისა
II
ძუნწი
კომედია გიორგი ერისთავისა
მონაწილეობენ: ქ-ნნი გამყრელიძისა, გარელისა, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, ადამიძე და სხვ.
III
კოქლი უცქეცხლოდ
დრამ. სურათი, თავ. ბ. მ. შარვაშიძის მიერ
მონაწილეობენ: ე. ს. მესხი, კარგარელი, კ. მესხი, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი კ. მესხი

„ველისციხე“
საწყობი კახური ღვინოებისა მ. გ. ტარასოვის ბიღვინიდან
ტფილისი, ბუშკინის ქ., გენერალ ტერ-ასტუროვის სახლში
ჩვენის საწყობის ღვინოები დაჯილდოვებულია მეექვსით I-ს კავკასიის ბალნოსნობის გამოფენაზე.
ჩვენს საწყობში მუდმივ იშოვება დიდძალი მეექვსე ღვინოები მშვენიერის თვისებისა ბოთლი 40 კ., 60, 80 კაპ. და 1 მან.
ჩვეულებრივი ღვინო ბოთლი 15 კაპ. მოყოლებული, ოუნგი 70 კაპ. და ვედრო 2 მან.
ვინ, ერთბაშად ბევრს ღვინოს იყიდის, მას ღვინო იაფად დაეთმობა.
ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას დროისით და დაუყოვნებლივ ვასრულებთ ხილმე. შეკვეთის დროს საჭიროა ბე წარმოადგინონ.
უმორჩილესად გსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ჩვენის საწყობის ღვინოები გაშინჯონ და შეადარონ სხვა საგაჭრათა ღვინოებს და მით დარწმუნდნენ ჩვენის ღვინის საკარგეში. (10—9)

საღამოობით
ა. მ. ბუდინოვი. 5—6 საათ. [illegible]
ნაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ს. ნაგასარდიანი 6—6½ ს.
ა. ნ. შვაგოვსკი 6—7 საათ. ნ
რვების, ვენერიულ ტ ზედაკანის ავა
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალო
გამოიკვლევს ქიმიურად და მიკრ
სკოპიულად შარდს ნახველს, სისხლ
რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დ
წერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფ
სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიუბ
სათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორ
მედიცინისა ნ ავ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად
მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფ
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ
გო, თვალისა და დედათა ავადმყო
ფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მი
იღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 1
საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამ
დე. შინაგან და ნერვების ავადმყ
ფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია
საქირურგიო ავადმყოფობას და სი
ფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალ
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ
ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტეროლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონ
წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаис

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხატოროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—57)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან წიგნებით მოვაჭრეებთან ივანე ჩითავიშვილის გამოცემა № 2
ეზოპის არაკები
თარგმანი
ბ. დავითაშვილისა
სუფთად კარგს ქალალდზე დაბეჭდილი 41 გვერდი
ფასი ერთი შაური
(5—2)

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავგანწირულთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულება
ალ. ცაგარლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.
კმედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—13)

ბირველი კერძო სამკურნალო.
ეჟიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნაგასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და უცრის ყვავილს.
ფ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. ბრონტასეკიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაბეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ბ. გურკა. დღით 1½—2½ [illegible]
შინაგან[illegible]ის, ყელის და [illegible]
შარდს[illegible]ობით.

ყველა ეგ ეკ ი
„ეროვნული ბანკი“
[illegible]

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში


საამდროო ვამოცანები თ-დის ნ. ტ. დადიანისა
(ზმაკიდურები ჩვენს მოლვაწეებზე) (10—3)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
ქუდრი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაზ. გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
ფაბლის ფიცრებს
[illegible]ზამისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫи ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—285)

ფლიაპს ქარხანა

დავ. გვახარიასი
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი.
იყიდება ყოველ-ნაირი სავაჭრო შლაპები
იქვე შეიძლება ძველის გადაახლება იაფად.
ფასი ყველა არსებულ სავაჭროებზე ორ-სამ მანათით ნაკლებია
Шляпная мастерская
Д. Гвахаріа
Лорисъ-Меликовс. д. кн. Мухранскаго

Дешевизна, аккуратность и ручательство. (13—8)

საღამოობით

ა. მ. ბუდინოვი. 5—6 საათ. [illegible]
ნაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ს. ნაგასარდიანი 6—6½ ს.
ა. ნ. შვაგოვსკი 6—7 საათ. ნ
რვების, ვენერიულ ტ ზედაკანის ავა
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალო
გამოიკვლევს ქიმიურად და მიკრ
სკოპიულად შარდს ნახველს, სისხლ
რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დ
წერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფ
სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიუბ
სათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორ
მედიცინისა ნ ავ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად
მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფ
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ
გო, თვალისა და დედათა ავადმყო
ფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მი
იღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 1
საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამ
დე. შინაგან და ნერვების ავადმყ
ფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია
საქირურგიო ავადმყოფობას და სი
ფილისს ფ. კ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალ
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ
ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტეროლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონ
წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаис

დეპეშები
„ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

6 იანვარი

პარიზი. ნაშუადღევს რამოდენი
მანიფესტაცია მოხდა, მათ შორ
უფრო შესამჩნევი მონმარტრის
ლვარსა და დრუოს ქუჩაზე. მანიფ
ტაციაში მონაწილეობას იღებდნ
ათასი სტუდენტი და მრავალი ცნ
ბის მოყვარე კაცი. ხალხი ჰყვირ
და: „სიკვდილი ურიებს! მიაფური
ხეთ ზოლას“!. პოლიციამ ბრბო დ
შალა. 7 კაცი დააპატიმრეს. სასტ
კი განკარგულებაა გაცემული, რაი
გან საღამოთი კიდე მანიფესტაციი
დანიშნული ტივოლის ვაგზალთან

პარიზი. ტივოლის ვაგზალზე დიდ
ძალი ხალხი მოგროვდა. საღამოს
საათზე დარბაზში იყო 1,800 კაც
და ამდენივე იდგა გარედ, სად
ხალხს აღელვებდნენ ეგრედ წოდ
ული camelot-ები. მიღებულია ს
განგება და სასტიკი საშუალებაბ
მახლობელი ქუჩები გაჟედილია პ
ლიციელებითა და რესპუბლი

ქვეითა და ცხენოსან ჯარით. ხალ-
ხის ბრბოს თან და ეიან ემატება,
ემატება აგრეთვე პოლიციელთა
რიცხვს. ტივოლის დარბაზი რომ
ხალხით გაივსო, ბრბომ შუა კარი
შეამტვრია და დარბაზში შეეიდა.
კრება მეტად აღელვებული იყო.
რადგანაც აქ ანარქისტებიც არიან,
მიტომ ყველა მხრიდგან ისმოდა
ერთმანერთის საწინააღმდეგო ხმები:
„შორს ჩვენგან ზოლა!“ „გაუმარ-
ჯოს კომმუნას!“ „გაუმარჯოს ჯარს“!
„გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუ-
ციას“! კრებამ სპატიო წევრებად
ირჩია როშფორი და დრუმონი.
ეეცრად ხმა გაისმა „გაუმარჯოს
ურიებს“! ამ ხმას დიდი ჩხუბი და
რძოლა მოჰყვა. ბიუროს ერთი წე-
რი დასჭრეს. გერრი დანიშნულ
ქმნა პრეზიდენტად. ანარქისტთა და
ნტისემიტთა შორის დიდი ბრძო-
ა მოხდა; რამდენიმე კაცი დაჭრი-
ია. გაისმა ყვირილი. ზოგი ჰყვი-
ოდა: „სიკვდილი ურიებს“! „მია-
ურთხეთ როშფორს“! ბუღანჟეს
მხრედ ნამყოფმა ტიებომ დრეი-
უსის მომხრეთა წინააღმდეგ სი-
ვა წარმოსთქვა. ანარქისტთა
ანტისემიტთა შორის დიდი
ძოლა ასტყდა. ანტისემეტთა უმ-
ვლესობა წავიდა დარბაზიდგან.
დძალმა ანტისემიტებმა გაიარეს
ტოლოსა და ბასტილიაში. რამ-
ნიმე კაცი დაეპატიმრეს. 11 საათ-
ე ტივოლის ვოგზალზედ ჩხუბი
ი არ შეწყვეტილიყო. რამდენიმე
ი დაჭრილია. ბოლოს დარბაზი
ისაკუთრეს 1000 ანარქისტმა, ყვი-
ილი დაიწყეს და დრეიფუსს თანა-
ნობას უცხადებდნენ. ანტისემი-
ი გაემაერთნენ სამხედრო კლუბისა-
. 11 საათსა და 30 წუთზე მიდა-
ებში ხალხი დამშვიდდა. დარბაზი
ცალიერდა და მანიფესტანტები
ერთნენ სამხედრო კლუბისაკენ,
რამ იტალიის ბულვარზე პოლი-
ელებმა შეაყენეს. აქედგან ბრბო
ართა „Libre Parol“-ისაკენ და
როდნენ: „სიკვდილი ურიებს“
ოიციამ ბრბო დაშალა და ა კა-
დააპატიმრა. ერთი დასი, რო-
საც ბულანჟეს მომხრედ ყოფი-
დეპუტატი მილვუა მეთაურობდა,
და კლუბთან; პოლიციამ ეს და-
ეაჭერა და რამოდენიმე კაცი დაა-
ამრა, მაგრამ მილვუამ ნებართვა
ო, რომ ეს დასი გაეშვათ სამხე-
ო კლუბის წინ. დასმა გაიარა
ილით: „გაუმარჯოს ჯარს!“ მი-
ეას სიტყვით დასი დაიშალა.
ლამდეო“, — სთქვა დასასრულ
ვუამ. ამავე დროს სამასმა სტუ-
ტმა გაიარა სენმარტენის უბანში,
ილით: „მიაფურთხეს ზოლას“!
ისა და ბრძოლის შემდეგ პოლი-
ს აგენტებმა ხალხი დაშალეს.

ARIZI. გაზეთები იუწყებიან, გუშინდელ ჩხუბის დროს და-
და 20 კაცი, ამათში 6 კაცი ძნი-
არის დაშავებული.

ARIZI. დეპეშებით იუწყებიან, ურიების წინააღმდეგ მანიფეს-
ციები მოხდა პროვინციის სხვა
სხვა ქალაქებში, სახელდობრ:
ერმონ-ფერარსა, გრენობლსა და
ლოში; აქ ხალხი ჰყვიროდა უ-
ბის დუქნების წინ: «მიაფურთხეთ
ოასა და ურიებს!“ მანიფესტან-
ბა დასწვეს მოედანზედ ის გა-
ები, რომლებსაც დრეიფუსის
ე მეჭირათ. ნანტსა და მარსელ-
ქვეებით ჩაამტვრიეს ებრაელების
დენიმე მაღაზიის ფანჯრები.

ARSELI. 1000-მდე მანიფესტან-
ებრაელთა მაღაზიების წინ შეი-
ბა და ყვირილი დაიწყო „შორს
ჩვენგან ურიები! სიკვდილი ურიებს!“
აფიცერთა კლუბის ფანჯრეფთან გაის-
მოდა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს!“
ქუჩაზედ სიარული შეუძლებელი გახ-
და. 30,000 კაცმა აფიცერთა კლუ-
ბის ფანჯრების წინ მანიფესტაცია
მოახდინეს; ხალხი მალმალ იმეორე-
ბდა: „გაუმარჯოს ჯარს!“ და თან
ყვავილებს აწყობდა. ხალხის მისალ-
მების ნიშნად დროშა ჩამოუშვეს.
შემდეგ სტუდენტებმა და ახალგაზ-
და კაცებმა ქუჩები დაიარეს და თან
ჰყვიროდნენ: „შორს ჩვენგან ური-
ები! მიაფურთხეთ ზოლას!“ მათ გა-
ზეთების რედაქ. წინ თანაგრძნობის
ნიშნად მანიფეტსტაცია მოახდინეს,
შემდეგ დაიშალნენ. ცალკე ბრბომ
ებრაელის ერთს მაღაზიაში ფანჯრე-
ბი ჩაამტვრია.

LIONI. სტუდენტებმა მანიფე-
სტაცია მოახდინეს. გაზ. „Peuhle“-ს
რედაქ. წინ, რომელსაც ზოლას მხა-
რი ეჭირა და რედაქციის ფანჯრები
ჩაამტვრიეს. რედაქციის წევრებმაც
სამაგიერო გადაუხადეს და ჯოხები-
თა და ქვებით რამდენიმე სტუდენ-
ტი დააშავეს.

NANSI. 300 სტუდენტმა საღამო-
ზედ ქუჩები შემოიარეს ყვირილით:
„მიაფურთხეთ ზოლას, ურიებს, დრე-
იფუსს!“ «სიკვდილი ურიებს.“ მათ
მანიფესტაცია მოახდინეს სინაგოგის
წინ, შემდეგ დაიშალნენ.

PRAGA. ლანდტაგი. მეფის მოად-
გილემ მთავრობის სახელით განა-
ცხადა, რომ ადგილობრივი ენები
თანასწორნი არიანო უფლებით.

7 იანვარი

PARIZI. ბილიომ სჯულის საქმე-
თა მინისტრთან „Aurore“-ს რედაქ-
ტორსა და ზოლაზედ საჩივარი შეი-
ტანა. მინისტრმა საჩივარი საგენე-
რალო პროკურორს გადასცა. ამბობ-
ენ, რომ ზოლა და „Aurore“-ს
რედაქტორი ნაფიც მსაჯულთა სა-
მართალში იქმნებიან მიცემულნი.

KANTONI. ბერლინელი მისიონე-
რი გომეიერი გაძარცვეს და დასჭ-
რეს კანტონის მახლობლად. გერმა
ნეთის ელჩმა საყვედური განაც-
ხადა და ადგილობრივმა ღენერალ
გუბერნატორმა მაშინვე ზომები მი-
იღო მისდა დასაკმაყოფილებლად.

NANTI. ნაშუადღევს ანტისემითთა
მანიფესტაციები მოახდინეს. პოლი-
ციამ სასტიკი ზომები მიიღო.

PARIZI. სოციალისტთა დეპუ-
ტატებმა მანიფესტი გამოსცეს, რო-
ელითაც თხოულობენ: „ნუ ერწ-
მუნებით იმათ, ვინც ანტისემიტ
ობის მიზეზით აპირებს ბურჟუაზთა
ერთის პარტიის გაძღვებას მეორე
პარტიის სასარგებლოდო“.

PRAGA. სეიმი. ფუნკე არა სჯერ-
დება მთავრობის მიერ გუშინდელს
ნათქვამს, ნემენცებმა დაჟინებით უნ-
და ითხოვონ, რომ შეცვლილ იქმნას
აწინდელი დადგენილებანიო. ამაზე
ნამესტნიკმა უპასუხა, რომ ენების
შესახებ წინანდელ წეს-რიგის მაგი-
ვრად შემოღებულ იქმნება ახალი
წესებიო.

PARIZI. საღამოს რამდენიმე გუ-
ნდი სტუდენტებისა გავიდნენ ხიდ-
ზე, მაგრამ მაშინვე განფანტეს შე-
იარაღებულმა პოლიციელებმა. პო-
ლიციელებმა სასტიკი ზომები მიაღ-
ეს. საღამოს რედაქციებისა და სა-
ბჭედრო კრების წინ მანიფესტაციე-
ბი მოახდინეს. პოლიციამ გაჰფანტა
მეამბოხენი.

MARSELI. დღით რამოდენმამე
სტუდენტმა და კერძო პირებმა მა-
ნიფესტაცია მოახდინეს და ყვიროდ-
ნენ: „თავს ლანძღავ ზოლას! შორს
ებრაელნი!..“ პოლიციამ გაჰფანტა
მეამბოხენი და მათ [illegible] ორნი
შეიპყრეს. საღამოს ებრაელთა მაღა-
ზიების წინ ხელ-ახლავ მოხდა მანი-
ფესტაცია; მაღაზიები დაკეტილია;
პოლიციამ გაჰფანტა მეამბოხენი და
მათგანი 20 შეიპყრეს.

PARIZI. საღამოს ბორდოსა და
მომპელიეში მოხდა ანტისემიტთა
მანიფესტაციები; ნანტში დაამსხვრი-
ეს ებრაელთა მაღაზიების ფანჯრე-
ბი; რამოდენიმე კაცი დაატუსაღეს.

LIONI. სტუდენტებმა მანიფეს-
ტაცია მოახდინეს ებრაელთა საღო-
ცავის წინ. ებრაელთა მაღაზიები
დაკეტილია. მეამბოხენი რამდენჯე-
რმე გაჰფანტეს, მაგრამ ისევ იკრი-
ბებოდნენ. ხელ კეტებით დაერივნენ
ერთმანერთს. ერთი ცხენოსანი და-
რაჯი დასჭრეს. 20-მდე კაცი დაა-
ტუსაღეს. მანიფესტაციები ჯერ არ
დაწყნარებულა.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ადმინისტრაცია. გადაუწყვეტელ იქმნა: ტფილისის ქალაქის პოლიციის მოხსნა, კოლეუსკი რეგისტრატორი ეღენტი — სენაკის მაზრის სამხედრო მმართველობაში საქმეთა-მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

ტფილისის სახაზინო პალატის უწყება უმაღლესად ებრძანა: იგდირის მაზრის სახაზინოს ბუღალტერს ტიტულიარნი სოვეტნიკს, ჩინჩალაძეს — კოლეუსკი ოსესსორობა; გუბერნიის სეკრეტარის სიღნაღის მაზრის სახაზინოს ბუღალტერს — მაღალაშვილს და სახაზინო პალატის ბუღალტრის თანაშემწეს თავ. ვეზირიშვილს — კოლეუსკი სეკრეტარობა; არდაგანის მაზრის სახაზინოს ბუღალტერის თანაშემწეს კაკაბაძეს და ბათომის სახაზინოს თარჯიმანს კობახიძეს — გუბერნსკი სეკრეტარობა.

სასულიერო სამოსწავლო უწყება. უმაღლესად ებრძანა: ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს კოლეუსკი სოვეტნიკს მახათაძეს — სტატსკი სოვეტნიკობა.

სასულიერო უწყება. უმაღლესად ებრძანა: გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მოხელეს გუბერნსკი სეკრეტარს ხოჭოლავას — კოლეუსკი სეკრეტარობა.

ახალი ამბავი

*** **უმაღლესი ჯილდო.** კამერ-ერს უმაღლესის კარისას თავ. გ. დ. შერვაშიძეს უმაღლესად ებოძა ეგერმეისტრობა.

*** **მთავარ-მართებლის გამგზავრება პეტერბურგში.** ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ამა იანვრის დამლევს ან თებერვლის დასაწყისში გაემგზავრება პეტერბურგში სამსახურის საქმეებისა გამო.

*** **გუბერნატორების ჯრება.** მთავარ-მართებლის კანცელარიაში ამ ჟამად სხდომები აქვთ ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს. ეგ სხდომები დაიხურება 15 იანვარს და გუბერნატორები თავიანთს გუბერნიებში დაბრუნდებიან.

*** **სადილი მთავარ-მართებლის სასახლეში.** გუშინ წინ, 7 იანვარს, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შემდეგი პირნი მიიპატიჟა სადილად: სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩ ხრიმიანი, სომეხთა ადგილობრივი ეპისკოპოზი კევორკ სურენიანი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ღენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ტ. სოვ. ი. ვ. მიცკევიჩი, ტფილისის გუბერნატორი დეისტ. სტ. ს. თ. ა. ბიკოვი, ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი, ეჩმიაძინის სომეხთა სინოდის პროკურორი დ. სტ. სოვ. ყანჩელი და სხვ. სადილმა გასტანა ნაშუადღევის $4^1/_2$ საათამდე.

*** **იშხნელის საქმე.** გუშინ წინ, 7 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სპირიდონ იშხნელისა და აკიმ ანტონოვის საქმე, რომლითაც მათ დაჰბრალდათ ინჟენერის ბალინსკის გაძარცვა და მოკვლის განზრახვა. ეგ საქმე ოლქის სასამართლოში გაირჩა და მიუსაჯეს იშხნელს 10 წლით და ანტონოვს 8 წლით კატორღაში გაგზავნა. ამ განჩინებას არ დასთანხმდნენ ბრალდებულნი და პალატაში განასაჩივრეს; პალატამაც დაამტკიცა ზემოაღნიშნული განაჩენი ოლქის სასამართლისა, ხოლო დაშავებულს მეეტლეს შიროკოვს უნდა აძლიონ ბრალდებულებმა ყოველ-წლივ 240 მან., სანამ სრულებით არ გამორჩება ჭრილობისაგან.

*** **ახალი დანიშნულება ახალს დაწესებულებაში.** ამიერ-კავკასიაში ამ მოკლე ხანში გაიხსნა ახალი სახაზინო პალატები და ერთ-ერთ მათგანის მმართველად ასახელებენ ტფილისის სახაზინო პალატის განყოფილების უფროსს თ. ე. აკინფიევს.

*** **საეკლესიო სამრევლო სკოლა ახალ-ქალაქში.** ახალ-ქალაქში მცხოვრის — ფერისცვალების ეკლესიის გალავანში მღვდელს ჩიტაძეს საქართველოს ექზარხოსის ვლადიმერის ნება-რთვით გაუხსნია საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელშიაც წერა-კითხვას ასწავლიან ორთავე სქესის ბავშვებს.

*** **მოწაფეთა სადამო საფერშლო სკოლაში.** ამ იანვრის 4-ს მომიხდა დასწრება ფერშლების სკოლაში გამართულ მუსიკალურ დრამატიულ საღამოზედ. აღნიშნულ სკოლის მოწაფეებმა წარმოადგინეს გოგოლის „лакейская“ და უნდა თქვას კაცმა, რომ კარგადაც წარმოადგინეს ეს სიმახვილით სავსე სცენები. როლები შესაფერად ჰქონდათ განაწილებული. მონაწილეობას თითქმის სულ არა რუსები იღებდნენ და, ეტყობოდათ, რომ რუსულ ენაში კარგათ უვარჯიშნიათ. მეორედ და მესამედ წარმოდგენილ იქმნა „Мѣдведь“ და „Въ тихомъ уголку“ ადგილობრივი სცენის მოყვარეების მიერ და არც ამ წარმოდგენას უშავდა რამე, თუმცა კი სასურველი იყო, რომ ეს საღამო სრულიად უმაწვილური ყოფილიყო და ამ უკანასკნელთ მიეღოთ უფრო დიდი აქტიური მონაწილეობა და არა გარეშე პირებს. არც „Въ тихомъ уголку“ არის თავისი შინაარსით შესაბამო საზოგადოთ სკოლეში [illegible] ფილება წარმოადგენდა დივერტისმენტს, [illegible] ოსურლეთმა [illegible] ბა. ნათაძის ლოტბარობით იმღერეს რამდენიმე ქართული და რუსული სასიმღეროები და ისე მწყობრად და გარმონიურად, მეტადრე ქართული სიმღერები, რომ აღტაცებას სამზღვარი აღარ ჰქონდა. დასასრულ ორი ლექსიც წაიკითხეს ქართულად „მერანი“ და რუსულად პუშკინის ელეგია.

გამგედ ამ საღამოსი იყვნენ ეს პირები და პავლოვსკის ქილიშვილებიც და ამათი თავდარიგის ბრალია, რომ საზოგადობა ასე კმაყოფილი დაიშალა.

*** **ქალი სამეურნეო ასპარეზზე.** ამ დღესასწაულებში „შუამავლის“ მაღაზიაში ისყიდებოდა სოფ. პატარძეულიდგან ჩამოტანილი თაფლი ისეთი კარგი ღირსებისა, რომ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ეს სასიამოვნო მოვლენა, მით უფრო, რომ ამ თაფლის დამყენებელი ბრძანდება მარიამ ნიკოლოზის ასული მეულლე პატარძეულელი სოფლის სკოლის მასწავლებელის ლავრენტი მათიკაშვილის ქალი. როგორც გავიგე, ჩვენებურად არის აღზდილი და ურუსულოდ ისე კარგად შეუსწავლია პრაკტიკულად მეფუტკრეობა, რომ ბევრი განათლებული მეფუტკრე მოიხრის მის წინაშე კისერს. ღმერმა ქნას, რომ სხვა ქართველს ქალებსაც მიებაძოთ ამ სასიქადულო შრომისათვის.

*** **გაძგეობის საეურნეოდ [illegible]** ამას წინედ რომ ტფილისში [illegible] დარები იყო და მზეები იდგა, გამო ზოგი ერთ ქუჩებში ყვავ[illegible] და ყმაწვილების [illegible] გადამდებ[illegible] ტკივრები გაჩნდა. ნამეტურ ეს[illegible] ვიწრო ქუჩებისაკენ. ამბობენ, [illegible] ბევრს ალაგას იმსხვერპლა ამ [illegible] ავადმყოფობებმა ყმაწვილებიო, უმეტეს, რ[illegible] საკვირველია ქართველთ შვილებ[illegible] რადგანაც ასეთი ქუჩების მცხოვრებ[illegible] ბთა უმეტესი ნაწილი ქართველთაგან შესდგება. ამის მაგალითადვე წარმოადგენს კუკიის და დიდუბის ზემო ქუჩები, სადაც ქალაქის გამგეობას ექიმი თავის დეზინფექციით ერთობ იშვიათათ დადის ხოლმე; ხოლო დიდად საქირო კი არის.

*** **დამის გასათეგი თავ-შესაფარი ბათომში.** ქ. ბათომში უკვე მეორე თავ-შესაფარი გაუმართავთ ქ-ნის კ. ა. სევერინის თაოსნობით და ქალაქის თვით-მმართველობის დახმარებით და 6 იანვრიდამ საცის კაცისათვის მოუწყვიათ.

*** **ახალი დანიშნულება.** ქუთაისის მაზრის უფროსად ბ. სოკოლოვსკის მაგივრად, რომელიც ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ, დანიშნეს ბ. ბლეტენევი.

*** **რედაქცია ამოწმებს,** რომ ბ-ნ ყარამან ჩხეიძეს საჩხერედან არავითარი წერილი არ მოუწერია და საზოგადოდ „ცნობის ფურცელში“ არავითარ თანამშრომლობას არ ეწევა.

*** **ქ. ბაქო.** ჯამაგირი ქალაქ[illegible] [illegible] ბაქოს [illegible] ქალაქის საბჭომ [illegible]

2 იანვარს გადასწყვიტა მომავალს ქალაქის მოურავს ჯამაგირად დაენიშნოს წელიწადში 10,000 მან. ...ქრობენ, რომ ქალაქის მოურავ... არჩეულ იქმნება ბაქოს ოლქის ...ამართლოს თავმჯდომარე ბ. ჟილა.

*** **მირაქოვის ნაწერები.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 1897 წლის 19 დეკემბერს გარდაცვლილა სტამბოლში საქართველოს ღვიძლი შვილი და მასთანვე სამშობლო ენისა და ლიტერატურის მოყვარე იაკობ პეტრეს ძე მირაქიშვილი, რომელსაც უთარგმნია ოსმალურის ენიდან ქართულს ენაზე ათამდე წიგნი, მაგრამ, საუბედუროდ, ვერ ელირსა აქნობამდის დაბეჭდვას. მაგალითად: 1) «მოთხრობა შვიდთა მეცნიერთა», 2) „მოთხრობა ერთს ყვერულზე“ (იგავებით სავსეა და მიაგავს ჩვენს სიბრძნე-სიცრუის წიგნსა), 3) «მოთხრობა კოჭლი ეშმაკისა» (2 ნაწილი) და სხვა...

ერთი ამათგანი ხელ-ნაწერი, ე. ი. მოთხრობა „ერთს ყვერულზე“, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო ერთს ქართულს ჟურნალში, საუბედუროდ გაჰქრა რედაქციიდან ამ ოთხი-ხუთი წლის წინად, რომელიც რედაქციას გარდაეცა გარდაცვალებულის შვილის მიერ.

გარდა ამისა ამ ერთის წლის წინად იაკ. მირაქოვს გამოეტანებინა სტამბოლიდან იაკ. აბულაშვილისათვის 8—9 სხვა-და სხვა რვეული, რომ გარდაეცა ტფილისში ა. მ—სათვის, მაგრამ დღესაც არა სჩანს, თუმცა აბულაშვილი, როგორც ვიცით, ახლა სცხოვრობს ქ. ფოთში. ...ხლა, როგორც შევიტყეთ, ა. მ. მირაქოვს ტფილისში განუზრახავს გარდაცვალებულის სახსოვრად გამოსცეს ყველა ნაწერები იაკ. მირაქიშვილისა.

*** **ქუთაისი.** «საქველ-მოქმედოს» ანგარიში. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: 26 დეკემბერს ქ. ქუთაისში გაიმართა სალიტერატურო და მუსიკო საღამო განსვენებულის ...ბრიელ ეპისკოპოზის სახსოვრად ...აარსებულის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ; სულ შემოვიდა 300 მან. ...ა ხარჯს გარდა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ დარჩა 200 მან.

...ურდიდს მადლობას ვუძღვნი, ვინც ...ს საღამოს გამართვაში მონაწილეობა მიიღო, ან რითიმე დაგვეხმარა.

...ასარგებლობ შემთხვევით და ვასორებ „ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში“ შეპარულს შეცდომას: ...ადა იმ პირთა, რომელნიც ანგარიშში ბრძანდებიან მოხსენებულნი, ...მოსწირეს კიდევ: რამოდენიმე წიგნი და ოთხი მანათი ბ.ბ. ლოსაბერიძემ და ორ-ორი მანათი: ქ-ნ პეტრიაშვილისამ და ბ.ბ. მესხმა და ...ეუთბერიძემ. დიდს მადლობას ვუძღვნი ზემო აღნიშნულ პირთ შემოწირულებისათვის და, ვიმედოვნებ, ბიბლიოთეკის გამგეთ აპატიებენ შეცდომას.

ელენე ჯინოელისა

*** **ფოთი.** იმედიანი ახალი წელიწადი. ფოთელები ახალ წელიწადს ...ისაც რომ მხიარულად ვეგებებით. ...ულ სამის წლის განმავლობაში ...ვი რამ კარგი და საშვილისშვილო გაკეთდა ფოთში; რა თქმა უნდა, რაც გაკეთდება და რაც კეთდება, ყოველივე ჩვენის სახელოვანის მოღვაწის ნიკ. იაკ. ნიკოლაძის მადლიანის მოღვაწეობით, მეცადინეობით და შრომით არის: ნავთ-სადგურის შეკეთება და ცნობილი მოიჯარადრენი ბუნგე და პალაშოვსკი, რიონზე ორი ხიდის გაკეთება, ერთი რკინისა და მეორე სამხრეთ ტოტზე, არხის გაყვანა რიონსა და კაპარჭას შუა, ნაპირების „დამბით“ შემაგრება, საქალაბო სკოლის გაკეთება, საკრებულო ტაძრის საძირკველსაც ამ დღეებში ჩაყრიან და სხვ... დიახაც სიხარულით და იმედებით მივეგებეთ ახალ წელიწადს და ასე წარმოიდგინეთ, ბუნებამაც-კი პირი მოიწმინდა და პირველ იანვარს ისეთი დარი იყო, რომ ზაფხული გეგონებოდათ, ხოლო ნაშუადამევს თოვა დაიწყო და მას შემდეგ დღევანდლამდე სთოვს და კარგა სქელი თოვლი დასდო მთელს ფოთში.

ხოშთარხან

*** **დ. ჩურუძსუ** (აჭარა) სტუდენტის ასლან კაიკაციშვილის დასაფლავება. ამ თვის 3-ს მოასვენეს ქ. ოდესაში გარდაცვალებული პირველი სტუდენტი ჩვენის მხრისა ასლან ეფენდი კაიკაციშვილი. ადგილობრივი საზოგადოება სადგურზე დაუხვდა. ბათომიდგანაც ბევრი ხალხი მოჰყვა მატარებლით. მიცვალებული წაასვენეს მისი მამის ოჯახში და მეორე დღეს 12 საათზე დაასაფლავეს. იმისთანა კაცს ვერ ნახავდით მთელს ჩურუქსუში, მართლ-მადიდებელს თუ მაჰმადიანს, რომ არ ეტიროს და მეტის-მეტად არ სწყენოდეს ახალგაზდა კაცის ასე უდროოდ გარდაცვალება. განსვენებულს სტუდენტს მოჰყვნენ მისი ამხანაგები ორი სტუდენტი ბ-ნნი ამილახვარი და ლორთქიფანიძე. დაკაფლავების დროს ბ. ლორთქიფანიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაასურათხატა-რა განსვენებული ამხანაგი, მიჰმართა იქ დამსწრე მაჰმადიან ქართველებს და ურჩია ის უბედური შემთხვევა ნუ შეგაშინებთ და ეცადენით შვილებს უმაღლესი სწავლა-განათლება მიაღებინოთ, რათა თქვენცა და ქვეყანასაც გამოადგენო. ლორთქიფანიძეს სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ საზოგადოებაზე.

განსვენებულის სტუდენტის მამამ გულ-აღამ დიდი მადლობა მოახსენა მისის უდროოდ დაღუპულის შვილის ამხანაგებს ამილახვარს და ლორთქიფანიძეს, რომელთაც უპატრონეს ამხანაგს, ხოლო მთელი ჩურუქსუს ქართველობა, როგორც მართლმადიდებელნი, აგრეთვე მაჰმადიანები, დიდს მადლობას სწირავენ ზემოდ ხსენებულს სტუდენტებს განსვენებულის ასეთ მეგობრულ ჭირისუფლობისათვის.

ირაკლი უ—ძე

*** **ქუთაისი.** შორაპნის ქვა-გუნდის მწარმოებელთა შუამდგომლობის განხილვა სამინისტროში. მეურნეობის სამინისტროს გარდაუცია საგანგებო კომისიისათვის შორაპნის ქვა-გუნდის მწარმოებელთა შუამდგომლობანი განსახილველად. სამთო დეპარტამენტს წინადადება მიუცია „ქვა-გუნდის მწარმოებელთა საზოგადოებისათვის“—თუ საჭიროდ დაინახავთ, გამოგზავნეთ ვინმე მწარმოებელთაგანი, რომ მონაწილეობა მიიღოს კომისიაშიო. «საზოგადოების» რჩევას მიუნდვია მისის თავმჯდომარის გ. თ. ზდანოვიჩისათვის, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, დაესწროს კომისიის თათბირს და დაიცვას «საზოგადოების» ინტერესები.

*** **დაბა ხონი.** (იმერეთი) დაუწუნარებელი რაინდი. ყველას კარგად ახსოვს თუ რა აურ-ზაური მოახდინა მთელს იმერეთში თავ. სამსონ წულუკიძის ასულის მოტაცებამ. რაინდები ამა საქმისა კარგა ხანს ისხდნენ ციხეში და ბოლოს, როგორც იქმნა, გადურჩნენ „ცივ ქვეყნებს“. განთავისუფლდნენ თუ არა, მოიყარეს თავი ისევ სოფ. საწულუკიძეოში და მუდამ დღე ქეიფსა და ლოთობაში იყვნენ. თავ. კ. წულუკიძე, ლორთქიფანიძე და სხვ. დაფარფაშობდნენ სოფელში და მკვიდრთა მშვიდობიანობას არღვევდნენ ღამე ქუჩა-ქუჩა რევოლვერების სროლითა და ყვირილ-კივინით. თავ. სამ. წულუკიძე და ყველა მისი მეგობრები ისე დააშინეს ამ ვაჟბატონებმა, რომ გარედ გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ; 28 დეკემბერს თავ. კ. წულუკიძე და მისი ამქრები, ჩვეულებისამებრ, ქუჩა-ქუჩა დაქეიფობდნენ, გზაზე შეხვედროდათ თავ. წულუკიძის ძიძის შვილები ნესტორ ჯალაღონია ძმებითურთ, რომელნიც ისევ მეზობელთან ყოფილიყვნენ და ძალზედ შეზარხოშებულნი შინისაკენ მიემგზავრებოდნენ. რაინდებმა აუტეხეს უიარაღო გლეხებს ჩხუბი და მძიმედ დასჭრეს სამივე ძმა ჯალაღონები. მერე თავ. კ. წულუკიძე და მისი ამხანაგები გაემგზავრნენ თავ. სამ. წულუკიძის სახლისაკენ, მაგრამ ბედზე ხალხი შეხვდათ, და აღარ გაუშვეს, შეტაკების დროს გლეხებსაც დაუკრავთ „რაინდებისათვის“ ხელ-კეტები...

ყოველივე ეს ამბავი მაშინვე დეპეშით აცნობეს ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომელმაც განკარგულება მოახდინა მყისვე დაეტუსაღებიათ თავ. კ. წულუკიძე დი მისი ამხანაგები, მაგრამ, ჩვენდა საკვირველად, ბოქაულმა მოახსენა მაზრის უფროსს, რომ თავ. კ. წულუკიძეც და მისი ამხანაგებიც მძიმედ დაჭრილნი არიან და რადგან ჯერ ექიმობა ეჭირვებათ, მათი შეპყრობა შეუძლებელი არისო. (ნოვ. ობ.)

*** **თელავი,** (კახეთი) კითხვები და შენიშვნები. 22 დეკემბერს თელავის სამაზრო გამგეობის დარბაზში იყო საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა საგნებისა, რაც-კი საჭიროა პანსიონისათვის. მოგეხსენებათ საცხენისის სკოლა აგერ რამოდენიმე წელიწადია, გადმოიტანეს დაბა ყვარელში, მოათავსეს იმ შენობაში, რომელშიაც იდგა სამხედრო დარაჯი—დრუჟინად წოდებული. უკეთესი დასამტკიცებელი საფუთი აღარ შეიძლება შინაგანი მშვიდობიანობისა, როგორც სადარაჯო ციხეებში სკოლით შეცვლა დარაჯისა. აქნობამდის ამ ციხეში მოთავსებული დარაჯი დღე და ღამე ...ეში ადგა ლეკებს, რომ აეცდინა კახეთისათვის მტაცებლობაზედ გაღვიძებული მადა დაღისტნელებისა, ახლა-კი, როგორცა ვსთქვი, სამხედრო დარაჯი შეჰსცვალა გონებით სიბნელის დარაჯმა—სკოლამ. უკეთესი სანაცვლო აღარ შეიძლება, თუ დარაჯობაში სიმარჯვე ისეთივე იქმნება, როგორც მის წინამორბედსა, მაგრამ უკაცრაოთ, დავუბრუნდეთ ისევ საჯარო ვაჭრობასა.

გაიცემოდა საჯარო ვაჭრობით ტანთ-საცმელი, ფეხთ საცმელი, ქუდები, შეშა და პური, რაც მოუნდებოდათ მოსწავლეებს პანსიონში მთელი 1898 წ. განმავლობაში. საჯარო ვაჭრობაზედ ვერც ერთი გლეხი ვერ დავინახე. ყოველივე დარჩა ვაჭრობით მყოფ მოიჯარადრეს ბ. ვართანოვს, რომელიც აგერ სამი წელიწადია არავის ანებებს ამ საქმესა. ჩვენ წინადამდეგი არა გვქვს რა არც საჯარო ვაჭრობის წესრიგისა, რომელიც სრულიად კანონიერი და რიგზე იყო ყველაფერი, არც ბ. ვართანოვის და მის ამხანაგის ყაზაროვის სურვილისა და მეცადინობისა, რადგანაც მათი სურვილი და მეცადინობა მათსავე სულის ბერასა და გულის ძგერას შეადგენენ, უერთმანეთოდ არსებობა არ ძალ-უძთ, მე ამ საჯარო ვაჭრობის მაყურებელს — მებადებიან შემდეგი კითხვები: ყოველთვის, ყოველგან და ყველასაგან რათ არის დავიწყებული ის, რომელსაც ადგია კისერზედ მთელი სახელმწიფოს ურმის უღელი. მაშინ, როცა ნაზუქის სუნი მოგვივა და შესაძლებელია, ანაფხეკა, ან ნასუფრალი მაინც ვარგუნოთ?.

საჯარო ვაჭრობის შესახებ ყველა უწყების მთავრობა ერთსა და იმასვე გვიბრძანებს: „ეცადენით საჯარო სავაჭროთი გასაცემი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აიღონ“. რატომ შეშა და პური ყვარელმა გლეხმა არ აიღო? ხომ სულ ერთია, ბ. ვართანოვმაც იმავე გლეხს უნდა მისცეს, უიმგლეხოთ ვართანოვი ვერც შეშის საჟენს დაუდგავს სკოლას და ვერც ფქვილს ჩაბარებს?. ამაზედ ყველას საბუთიანი პასუხი გვაქვს: ვინ უშლიდა, რატომ არ მოვიდა და არ აიღო შეშაც და პურიც?.

მართალია, არვინ უშლიდა, დიდის სიხარულითაც მივეგებებოდით, თუ-კი მოვიდოდა; მაგრამ განა ესა კმარა? არავინ უშლიდა, ჰმ, ვიღა იყო მის გზის მაჩვენებელი და შემწე? განა ვართანოვს და ყაზაროვს გზის მაჩვენებელი და შემწე არა ჰყავდათ, განა იმათ დედის მუცლიდამ დაჰყვათ საჯარო ვაჭრობის წესრიგის ცოდნა? რატომ არ მივედით იმ გლეხთან და არ აუხსენით, რომ ხომ იმან უნდა დადგას შეშა საჟენი 6 მან. და არა სჯობია საჟენში 9 მან. აიღოს ხაზინიდამ, რომელიც იმაზედ უპრიანია? რატომ არ მივედით და კარგად არ შეეგებინეთ, მაინც ხომ იმან უნდა მისცეს ფუთი 50—60 კაპ. და არა სჯობია, ფუთში ექვსი აბაზი მიიღოს ხაზინიდამ? განა არ ვიცით, რამდენად ძნელია და საზარალო გლეხისათვის შრომისა და ნაშრომის ფულად ქცევა? ფული ხომ აუცილებელი საშუალებაა სახელმწიფო ხარჯის და ათასი სხვა ხარჯის გასასტუმრებლად.

რაკი შემთხვევა მოგვეცა, რატომ ხელი არ მოვუმართეთ, რომ გლეხს თვისი შრომა და ნაშრომი სასარგებლოდ ექცია ფულად? არც მე მივეშველე გლეხს, არც შენ, არც ის და ამიტომ დღეს გლეხის სასარგებლო ხვალისათვის იმავე გლეხის საზარალო გავაკეთეთ. მე ნასავლელი ვარ, შენ მოვალეა, ის ბატონია, ყველანი ვამბობთ: «რა ჩვენი საქმეა? თუნდ გლეხმა აიღოს, თუნდ ვართანოვმა, ჩვენთვის სულ ერთია და არც არავის დაუვალებია. საჯარო ვაჭრობა უწყებულ წეს-რიგით ხდება, საჯელმწიფოს უწყებულს კანონებს ემორჩილება, იმას თავისი მთავრობაცა ჰყავს და განკარგულების მიმცემიც».

რისგან არის, რომ როცა ცხენი გვინდა, მაშინვე გლეხი-კაცი მოგვაგონდება და კანონით თუ უკანონოთ წავართმევთ ცხენს, დავღლით, დავქანცავთ, მოუვლელობით გავაცივებთ, მივუგდებთ გაციებულს, მოუკვდება და ყველა ეს ჩალადაც არ მიგვაჩნია? რისგან არის, რომ როცა მოგვშივა, მაშინვე გლეხი-კაცი მოგვაგონდება და დავუწიოკებთ ოჯახს: ზოგს პურს წავართმევთ, ზოგს ინდოურს მოვტაცებთ, ზოგს ქათამს, ზოგს ბატსა და ყველა ეს სამართლიანად, წესიერად გვეჩვენება? რისგან არის, რომ როცა თავის გამოჩენა გვინდა, მარტო ავ-კაცობით ვიჩენთ თავსა და ამ ავ-კაცობის სარბიელიც იგივე გლეხია? რისგან არის, რომ ძალიან იშვიათად მოგვდის სურვილი კაი-კაცობით თავის გამოჩენისა და მაშინაც ჩვენი კაი-კაცობა გლეხს არ ეკარება, როგორც ურია ღორის ხორცს?

ეს კითხვები და მრავალი სხვა მიხიკინებენ თავში ამ საჯარო ვაჭრობის მაყურებელს და თანაც მაგონდება, რომ ეს თვე უკანასკნელი თვე არის წელიწადისა, ვნატრობ, რომ ახალი წლიდამ საქმე უკეთესად დატრიალებულიყოს და ამით ჩვენს ადამიანობას ემატნოს. ვნახოთ, როგორი იქნება მომავალი წელიწადი.

22 დეკემბერი. ნადიკვრელი

რედაქციისაგან

ბახვში გიტულის კვანტს, თქვენი წერილი დასაბეჭდად მოუხერხებელია—ბევრი პირებია ჩამოთვლილი, რომელნიც სკოლის კეთილ-დღეობას ეწინააღმდეგებიან... ესეც ხომ ჩვენებური უბედურებაა—შურსა და მტრობას ყოველთვის უკან ჩამოუყენებია ჩვენი საქმე და ეხლაც ასეა.

საჩხერეში ყარამანჩხეიძეს, თქვენი წერილი ბ-ნ ფიცხელაურის შესახებ ჩვენდა უნებურად ვერ დაიბეჭდა თუმცა ავაწყეთ. დღესვე ვაცხადებთ, რომ თქვენ ჩვენს გაზეთში არავითარი მონაწილეობა არ მიგიღიათ.

სოხუმში თედო სახოკიას, ის ნომერი „Бирж. Вѣд.“-ისა, რომელსაც გვთხოვთ ვერ ვიპოვნეთ.

ქუთაისში ბაბუკს, ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენი წერილი თვის დროზე დაიბეჭდება, ჩვენ წერილებს, რომელთაც დღიური ინტერესი არა აქვთ რიგობაზე ვბეჭდავთ.

ლეხოურში დ. ტ. ჩ—ნს რად ჯავრობთ და რად ჩქარობთ, მართალია თქვენი წერილი აგერ ათი დღეა გამოგზავნილი, მაგრამ ზოგისა კიდევ ორსა და სამს კვირესაც უცდის თავის რიგს. ჩვენ ყოველ დღე ორთა შუა ოცამდე წერილი მოგვდის, აბა როგორ შეგვიძლიან ყველა წერილების მაშინათვე დაბეჭდვა. წერილებიც თავის რიგს ელის...

საშეკნიერო ცნობა

რკინის გზა ჰაერში. ინგლისელს ინჟენერს ჭალფორდს ახალი პროექტი

ქუშუშაგნია ჭაერში რკინის გზის გაკვანისა; ამ პროექტით გზა უნდა გაიეკვანოს ლითონის ძალდს ბოძებზე და ზედ ისრიალებს მხოლოდ ორთქლმავალი, ხოლო კვანები-კი, რომელიც ორთქლ-მავალზე იქმნებიან მაბმული, ჭაერში დაკიდებიან და ისე გაჭეგებიან უკან... გამოგონი გვარწმუნებს, რომ ამ საირად მოჭარაგებულს ზაზე შეიძლება 300 კერსი გაირბინოს საათში მატარებელმა. ეგ ახ�ული და მასთანვე საოცარი გამოგონება უკვე ნება დართულია ინგლისის მთავრობის მიერ.

ამის ფრინველებად გადაგვაქციონ ალოცვილმა ინჟინერებმა!

საღეისოდ

უსაფუძვლო ჭორები ჩვენი მტერ-ოყვრისა. ეს მეოთხეჯერ მოგვდის ბათომიდამ და იმერეთ-გურიის ზოგიერთი ადგილებიდან წერილები—გაუწყეთ, მართლა აღარ გამოვა „ცნობის ფურცელი“, თუ ჭორებს ავრცელებენ ზოგიერთნი „დაინტერესებული პირნი კონკურენციის მოსაზრებითო“. ჩვენ ყური არ გვიბოვნია ამ წერილებისათვის და არც დღეს ამოვიღებდით ხმას, მაგრამ, როცა ეგ ჭორი ზარალის მოქმას გვიქადის, მაშინ მოვალენი ვართ ჭორს ლაგამი ამოვსდოთ...

„ცნ. ფურც.“ მიუხედავად ყოველ გვარ დაბრკოლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე გათზე ორი იმდენი ხარჯია, რაც შემოსდის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე პროგრამმის სივიწროვეა გამო მრავალი აწყობილი ამბები და მასალები ვერ იბეჭდებიან, მიუხედავად იმისა, რომ მრავალნი ვერ ისევ ეჭვის თვალით უყურებენ ამ ზეთს, მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაზეთი ყოველ დღე შეუწყეტლივ გამოდიოდა, იმ დღეების გარდა, როცა ასოთ ამწყობნი და ბეჭდავ არ მუშაობდნენ.

წლის განმავლობაში „ცნობის ფურცელი“ გამოვიდა 345 ჯერ. განა ეს ცოტა არის? თუ ჩვენ გაძელით ზემოთ ჩამოთვლილ ათას დაბრკოლებას ზნეობრივ თუ ნივთიერს და მაგარი ნაბიჯი გადავსდგით ახალს წელიწადში, ვის რა უფლება აქვს სთქვას, რომ გაზეთი დაიკეტება!..

ჩვენ გულის მწუხარებით აღვნუსავთ რა ჩვენი მტერ-მოყვარეთა ვარძლიან ჭორს, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა არც ერთს პატიოსნურ კონკურენციაში (შეცილებაში), ვარწმუნებთ ყველს ძველს თუ ახალს მკითხველებს ხელის-მოწერთ, რომ „ცნობის ფურცელი“ გაათკეცებულის სიმხნეთ და სიბეჯითით გამოვა და თან ჩვენ ვეცდებით დავძლიოთ ყოველი დაბრკოლება, ყოველივე ხელშემშლელი მიზეზი და არას დროს ვუღალატებთ არც ჩვენს თავს და არც საზოგადოებას.

შეიძლება ამ ბრძოლაში ჩვენ დაძლიოს „გარემოებათა ძალამ“, მაგრამ იმას-კი ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ გაზეთი დაიხუროს. როცა ჩვენ ზედ გადავველევით და არა შეგვეძლება-რა, მაშინ გაზეთს შესაფერს ჭირისუფალს და წინ-გამძღოლს გამოვუძებნით... ამის თავმდებია ჩვენი მცირე და პატარა წარსული.

სხვა-და-სხვა ამბავი

ქურდობის მასწავლებელი. ამას წინად ტაღინროგის ოლქის სასამართლოს გინუხილავს ერთი ფრანგ სოგულისშმიერო საქმე. თურმე, ერთი ქალი ადმოჩენილა, რომელიც ასწავლიდა ბავშვებს ქურდობას. ეი რაგორ გამოამჟღავნეს ეგ ამბავი. ერთს ქალს, თურმე, ხშირად ეკარგებოდა სასლში წვრილმანი ნივთები და ქურდი-კი არსად სჩნდა; ბოლოს თავისასაგე შვილს ჭკითხა, შენ ხომ არ გიწურავს ღმერთი და შენ ხომ არ მპარავ ნივთებსო. კაცი მტკიცე უარს დადგა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოსტეხეს და ადიარა, რაც-კი რამ დაგეკარგათ, ყველაფერი მე წავიღე და კიდევ დავიდოვის ქალს მივუტანე, რომელიც სამაგიეროდ შაქრეულობას მაჭმევდა და თითო-ორ გროშსაც მაძლევდა ხანდისხანო. საბრალო დედამ, რა თქმა უნდა, მაშინვე მიჭმართა პოლიციას და შეუდგნენ გამოძიებას. პოლიციამ ადმოაჩინა, რომ ეგ უღვთო ქალი, თურმე, ბევრს ბავშვებს რეკნიდა ამ ხიარად და სამუდამო ციხესირებდა. მისი შეგირდები სულ 10—14 წლისანი იყვნენ და თუ კინიტობაა კინმე მათგანი უარს ეტყოდა—ერ მოგიტან მეტს ნივთებსო, მაშინვე დაემუქრებოდა: უთუოდ მოგიტანე კიდევ, თორემ შენს მშობლებთან დაგაბეზღებ, რაც ჩაგიდენიაო.

მგონი რუსეთის კანონებში არც-კი მოიძებნება ისეთი სასტიკი სასჯელი, რომლის დარსიც არის ქალბატონია!...

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის

გამოცემანი

(ისყიდება სიკუთარ კოსკში, ჭაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ვეტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე მეტოხიშვილისა, დეგენდა-ბოლმა ბაჩანისა	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, აზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ნახვა	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი ნაკაბისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაგვები, სანა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიტრფვე, მისივე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . .	1—50
სამზარეულო ქართული ეროვნული საჭმელებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგივ არაგვი, მისივე . . .	„—20
ლვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . .	2—50
ალა-ძაბმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მოგზაურობა ნ. ურბნელისა .	„—40
აგენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ტეტნალითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . .	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ ადადიანისა . . .	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარიანი . . .	„—30

(100—19)

ცნობილის ფაბრიკების

რიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

Музыкальное депо

Б. М. Мириманяна.

Тифлисъ, Дворцовая ул., д. грузинс. дворянства.

ექიმი

ს. ბ. ჩიქოვანი

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.

მიხეილის ქუჩა, № 16.

ექიმებსმოსამსახურე

ადგილს გამოცდილი

მოიკითხონ არშაკუნის შესახვევში № 15, პაპალოვის სახლ. ირემაძე.

(5—3)

Открыта подписка на 1898 годъ

на ежедневн. политическ., литерат. и экономич. газету

„НОВОСТИ“

и на еженедѣльный художественный журналъ

„Петербургская Жизнь“

Изданія ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго акціонернаго общества

„ГУТЕНБЕРГЪ“

ПОДПИСКА на „НОВОСТИ“ въ 1898 году.

на 1-е (большое) изданіе:

На годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
Безъ доставки . .	14 50	13—	12—	10 50	9 80	9—	8—	6 80	5 50	4—	2 80 1
Съ доставкой по городской почтѣ . .	16—	15—	13 50	12—	11—	10—	9—	7 50	5 80	4 50	3 30 1
Съ пересылкой иногороднимъ . . .	17—	15 50	14 50	13 50	12 50	11 30	10—	8 50	7—	5 50	4—2
За границу : . .	26 20	24 50	23—	21—	18 50	16—	14—	12—	10—	8—	6——3

на 2-е (малое) изданіе:

На годъ.	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
Съ доставкой по городской почтѣ . .	9—	8 50	8—	7 50	7—	6 50	6 —	5 —	4 —	3 —	2 — 1
Съ пересылкой иногороднимъ	10 —	9 50	9—	8 50	8—	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	2 — 1
За границу	18———	———	———	———	———	———	10 ———	———	———	6 ———	2

Подписавающіеся на „Новости“ вмѣстѣ съ „ПЕТЕРБУРГСКОЙ ЖИЗНЬЮ“ доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости“ (каждаго срока) только одинъ рубль.

РАЗСРОЧКА платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „НОВОСТИ“ (Б. Морская, № 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, «Новости».

Подписка на «Новости» вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью“ представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку одного рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльно иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матерьялъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоящую болѣе рубля, и, такимъ образомъ, подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоймости пересылки.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“

1898 г.

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—1 р.

Журналъ выходитъ по воскресеньямъ.

При конторѣ „НОВОСТИ“ существуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котораго подписчики «НОВОСТЕЙ» пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель О К. НОТОВИЧЪ.

(10—5).

VII (1897) **Книга 39 (IV)**

Вышла IV-ая (сентябрь-октябрь) книга журнала

„ВОПРОСЫ ФИЛОСОФІИ И ПСИХОЛОГІИ“,

издаваемаго московскимъ психологическомъ обществомъ. Содержаніе ея: Г. Е. Струке. Способности и развитіе философствующаго ума.—Б. Н. Чичеринъ. О началахъ этики.—А. Н. Гиляровъ. Предсмертныя мысли нашего вѣка во Франціи.—В. О. Ключевскій. Западное вліяніе въ Россіи XVII в. (Историко-психологическій очеркъ.—Н. Я. Гротъ. Понятія души и психической энергіи в психологіи.—Ф. В. Софроновъ. Соотношеніе общественныхъ силъ. —В. М. Черновъ. Экономическій матеріализмъ и критическая философія.—Полемика: Вл. С. Соловьевъ. Мнимая критика. (Отвѣтъ Б. Н. Чичерину).—Критика и библіографія.—Психологическое общество.

Условія подписки: На годъ безъ доставки—6 р., съ доставкой въ Москвѣ 6 р. 50 к., съ пересылкой въ другіе города—7 р., за границу—8 р.

Учащіеся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ, сельскіе учителя и сельскіе священники пользуются скидкой въ 2 р. Подписка на льготныхъ условіяхъ и льготная выписка старыхъ годовъ журнала принимается только въ конторѣ редакціи. Подписка, кромѣ книжныхъ магазиновъ, принимается въ конторѣ журнала: **Москва, Большая Никитская**; Брюсовскій пер., д. Вальтищевой, кв. 28.

Предсѣдатель психологическаго общества.

(4—4) *Н. Я. Гротъ.*

Редакторы. { *Л. М. Лопатинъ* / *В. П. Преображенскій.*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Января, 1898 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ფორის-მეფიოზის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია